





**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება..... 5  
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება..... 6  
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება ..... 7  
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება ..... 8

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 9  
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 9  
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 18  
4. წმინდა გამომუშავებული პრემია ..... 19  
5. საკომისიო შემოსავალი ..... 19  
6. წმინდა სადაზღვევო ზარალები..... 20  
7. სხვა საოპერაციო ხარჯები ..... 20  
8. საპროცენტო შემოსავალი..... 20  
9. მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან ..... 21  
10. მოგების გადასახადის ხარჯი ..... 21  
11. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 21  
12. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ..... 21  
13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან..... 22  
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 23  
15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმომობილი ვალდებულებები ..... 23  
16. ძირითადი საშუალებები ..... 25  
17. არამატერიალური აქტივები ..... 26  
18. სააქციო კაპიტალი ..... 26  
19. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები..... 26  
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 27  
21. მიღებული სესხები ..... 27  
22. რისკების მართვა..... 27  
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... 32  
24. პირობითი და აღურიცხავი ვალდებულებები ..... 34  
25. ბალანსის შემდგომი მოვლენები..... 34



**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ აქციონერებს და მენეჯმენტს

**აუდიტორის დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე****დასკვნა**

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ინდივიდუალური საქმიანობის შედეგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალურ მოძრაობას და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**პირობითი დასკვნის საფუძველი**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ტესტირება. შედეგად, ვერ მოხერხდა საკმარისი და სათანადო მტკიცებულების აღება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც წარდგენილია ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად, 536 ათასი და 285 ათასი ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, არამატერიალურ აქტივებთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების 9-ე შენიშვნაშია განმარტებული კომპანიამ 2016 წელს გაყიდა ინვეტიცია შვილობილ კომპანიაში. აღნიშნული ოპერაცია განხორციელდა დამფუძნებელთან. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და სათანადო მტკიცებულება ინვესტიციის რეალურ ღირებულებაზე. გამომდინარე აქედან, ვერ გამოვთქვავთ მოსაზრებას შვილობილი კომპანიის გასვლიდან წარმოქმნილ მოგებაზე, რომელიც წარდგენილია ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 5,274 ათასი ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ წარვმართეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზნაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი კომპანიისგან. ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თალღითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

#### **აუდიტორთა პასუხისმგებლობები**

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2016	2015
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია		6,215	8,055
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ მთლიან სადაზღვევო პრემიაში		(558)	(708)
<b>წმინდა მოზიდული პრემია</b>		<b>5,657</b>	<b>7,347</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(873)	1,387
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		51	150
<b>წმინდა გამოუმუშავებული პრემია</b>	<b>4</b>	<b>4,835</b>	<b>8,884</b>
საკომისიო შემოსავალი	5	175	189
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>		<b>5,010</b>	<b>9,073</b>
სხვა საოპერაციო შემოსავალი		32	37
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>5 042</b>	<b>9,110</b>
გადახდილი სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში		(4,498)	(8,530)
გადამზღვევლის წილი გადახდილ სადაზღვევო ზარალებში და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცვლილებაში		295	451
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>6</b>	<b>(4,203)</b>	<b>(8,079)</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი ცვეთა და ამორტიზაცია	18,19	(1,132)	(1,491)
საიჯარო ქირა		(133)	(171)
მარაგების ცვლილება		(95)	(92)
შეძენილი მარაგების თვითღირებულება		(4)	8
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(29)	(103)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(593)</b>	<b>(678)</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი</b>		<b>(1,986)</b>	<b>(2,527)</b>
საპროცენტო შემოსავალი	8	(1,147)	(1,496)
საპროცენტო ხარჯი		1,089	350
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)		(9)	(24)
მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან	9	7	22
<b>მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე</b>		<b>5,274</b>	<b>-</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
<b>საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)</b>		<b>5,214</b>	<b>(1,148)</b>

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2017 წლის 18 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



კ. დიასამიძე

ფინანსური დირექტორი

ბ. გვეტაძე

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2016	2015
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	4,571	6,876
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	12	1,009	59
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	13	3,903	2,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	12,144	229
გადაზღვევის აქტივები	15	351	340
საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების საგადასახადისა		17	68
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივი		-	-
მარაგები		37	41
ძირითადი საშუალებები	16	536	570
არამატერიალური აქტივები	17	285	374
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	9	-	8,368
<b>სულ აქტივები</b>		<b>22,853</b>	<b>19,741</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	18	36,116	32,120
დაგროვილიზარალი		(20,454)	(25,668)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>15,662</b>	<b>6,452</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	15	6,065	8,498
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	19	114	40
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	921	2,672
მიღებული სესხები	21	-	2,001
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	91	78
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>7,191</b>	<b>13,289</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>22,853</b>	<b>19,741</b>

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>ნაშთი 2015 წლის 1 იანვრისთვის</b>	18	29,000	(24,520)	4,480
კაპიტალის ზრდა		3,120	-	3,120
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული ზარალი		-	(1,148)	(1,148)
<b>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	18	32,120	(25,668)	6,452
კაპიტალის ზრდა		3,996	-	3,996
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი		-	5,214	5,214
<b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	18	36,116	(20,454)	15,662

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	2 016	2015
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო პრემია	4,956	9,209
სხვა მიღებული თანხები	332	350
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	520	419
დეპოზიტების შემცირება	50	1,246
დეპოზიტების ზრდა	(1,000)	-
გადახდილი ზარალები	(9,557)	(9,562)
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(1,232)	(1,422)
გადამზღვეველისათვის გადახდილი თანხა	(38)	(242)
გადახდილი საკომისიო	(19)	(17)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(484)	(621)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(6,472)</b>	<b>(640)</b>
გადახდილი პროცენტი	(11)	(25)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(6,483)</b>	<b>(665)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6)	(37)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(82)
ფულადი ნაკადი ინვესტიციების გასვლიდან	2,190	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>2,184</b>	<b>(119)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</b>		
სესხის აღება	2,905	2,000
სესხის დაფარვა	(4,905)	(1,200)
საწესდებო კაპიტალის შევსება	3,996	3,120
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>1,996</b>	<b>3,920</b>
<b>წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში</b>	<b>(2,303)</b>	<b>3,136</b>
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>6,876</b>	<b>3,739</b>
კურსთაშორის სხვაობიდან მოგება/(ზარალი) ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე	(2)	1
<b>ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>4,571</b>	<b>6,876</b>

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს. კომპანია ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს, როგორც კორპორატიული, ასევე ფიზიკურ პირებისთვის: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის ქ. 16.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ავერსი-ფარმა“, რომელსაც 67%-იანი და 33%-იანი წილებით აკონტროლებენ პაატა კურტანიძე და ნიკოლოზ კურტანიძე.

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

#### 2.1 მომზადების საფუძველი

##### ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

##### ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

##### გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### 2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2015 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:



## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

**ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.** 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოიღო შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.** 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოიშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის



## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- პროცენტის გადახდებსაც, ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ზემოთ მოცემულის გარდა არ არსებობს სხვა სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში და რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ გავლენა ორგანიზაციაზე მიმდინარე ან მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

### 2.3 ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები არიან შვილობილი საწარმოები. კონტროლში იგულისხმება კომპანიის მიერ ამ თუ იმ საწარმოში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ კომპანიამ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს  
(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

##### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940
კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3949	2.6137

#### 2.5 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია

კომპანია აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

#### 2.6 აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კაპიტალიზდება, როგორც არამატერიალური აქტივები (DAC). ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. აკვიზიციის გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად.

მოსალოდნელი მოგების მარჯა დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე, რომელთა გადახედა და გაანალიზებაც ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

#### 2.7 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ადეკვატურია თუ არა მისი, აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებები, რისთვისაც იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებებს. თუ აღნიშნული შეფასებებიდან ჩანს, რომ კომპანიის სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (შემცირებული შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯებითა და შესაბამისი არამატერიალური აქტივებით) ადეკვატური არ არის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების ფონზე, მთელი დეფიციტური თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

## 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 2.8 გადაზღვევის კონტრაქტები

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი კომპანიას უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვეო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც კომპანიას წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

კომპანია ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

### 2.9 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან ბრუტო თანხით.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

#### (i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). კომპანიას ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

### 2.10 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას კომპანია ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება კომპანიის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა ხორციელდება კომპანიის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე და აისახება, როგორც ვალდებულება.

### 2.11 შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(i) მოზიდული პრემია

მოზიდული სადაზღვევო პრემიების აღიარება ხდება პოლისის გაცემისთანავე, ხოლო მათი გამომუშავება ხდება პროპორციულად, შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში. მოზიდული სადაზღვევო პრემიები ასახავს წლის განმავლობაში დაწყებულ საქმიანობას მიმდინარე ან წინა პერიოდის გამოუმუშავებელი პრემიის გაუქმების გამოკლებით. გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდგომ რისკის პერიოდებს. გამოუმუშავებელი პრემია გამოითვლება სადაზღვევო პერიოდის დღეების პროპორციულად. შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მთლიანი მოზიდული პრემიის და გამოუმუშავებელი პრემიის ცვლილების ჯამით მიიღება საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი სადაზღვევო კონტრაქტებიდან.

(ii) გადაზღვევის პრემიები

გადაზღვევის კონტრაქტებთან დაკავშირებით გადასახდელი პრემიების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაფორმდა გადაზღვევის ხელშეკრულება. პრემიების ხარჯად აღიარება ხდება გადაზღვევის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გადაზღვევის პერიოდის დღეების პროპორციულად. შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული გადაზღვევის პრემიის წილი გადავადდება, როგორც დამზღვეველის წილი გამოუმუშავებელ პრემიაში. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მთლიანი გადაზღვევის პრემიის და გამოუმუშავებელ პრემიაში დამზღვეველის წილის ცვლილების ჯამით მიიღება საანგარიშგებო პერიოდის გადაზღვევის ხარჯი.

### 2.12 ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად: სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხორციელდება შემენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე.

კომპანიის ფინანსური აქტივები მიეკუთვნება სესხების და მოთხოვნების ჯგუფს. ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელი და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.



**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს  
(ათას ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები და ფულისა და ფულის ექვივალენტების სახით.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

**ფინანსური ვალდებულებები**

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს მათი დანიშნულებიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მიეკუთვნება სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

**2.13 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის ღირებულების განაწილებით დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

<b>ჯგუფი</b>	<b>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</b>
შენობა	50
კომპიუტერული ტექნიკა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალება	10



## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით. საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

#### 2.14 არამატერიალური აქტივები

სააღრიცხვო პროგრამა

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მენეჯმენტის შეფასებით არსებული არამატერიალური აქტივების ამორტიზირება მოხდება ხუთი წლის განმავლობაში.

#### 2.15 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

## 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 2.16 მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

### 2.17 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. გამოშვებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება ნომუნალური ღირებულებით. სხვაობა შენატანების რეალურ ღირებულებას და აქციების ნომუნალურ ღირებულებას შორის არიარდება როგორც საემისიო კაპიტალი.

### 2.18 ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### ძირითადი შეფასებები და დაშვებები

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით.

დ) მოგების გადასახადი

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ე) დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს  
(ათას ლარში)

**4. წმინდა გამომუშავებული პრემია**

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავე ბელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო	5,120	-	5,120	(766)	4,354
კასკო	577	(237)	340	(36)	304
ქონება	394	(260)	134	(13)	121
კარგო	68	(46)	22	(3)	19
სამოგზაურო	21	-	21	-	21
უბედური შემთხვევა	24	(8)	16	(1)	15
სხვა ვალდებულებები	11	(7)	4	(3)	1
<b>სულ</b>	<b>6,215</b>	<b>(558)</b>	<b>5,657</b>	<b>(822)</b>	<b>4,835</b>

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავე ბელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო	6,605	-	6,605	1,524	8,129
კასკო	912	(432)	480	(19)	461
ქონება	445	(242)	203	31	234
კარგო	38	(25)	13	-	13
სამოგზაურო	34	-	34	-	34
უბედური შემთხვევა	20	(9)	11	(1)	10
სხვა ვალდებულებები	1	-	1	2	3
<b>სულ</b>	<b>8,055</b>	<b>(708)</b>	<b>7,347</b>	<b>1,537</b>	<b>8,884</b>

**5. საკომისიო შემოსავალი**

საკომისიო შემოსავალი 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2016	2015
1 იანვრისთვის	78	20
მოზიდული საკომისიო	188	247
გამომუშავებული საკომისიო	(175)	(189)
<b>31 დეკემბრისთვის</b>	<b>91</b>	<b>78</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**6. წმინდა სადაზღვევო ზარალები**

წმინდა სადაზღვევო ზარალები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
დარეგულირებული ზარალები	(7,920)	(9,946)
ზარალების რეზერვებში ბრუტო ცვლილება	3,306	1,218
რეგრესები	116	198
<b>სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში</b>	<b>(4,498)</b>	<b>(8,530)</b>
გადამზღვეველის წილი დარეგულირებულ ზარალებში	335	371
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვეველის წილი	(40)	80
<b>გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში</b>	<b>295</b>	<b>451</b>
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>(4,203)</b>	<b>(8,079)</b>

**7. სხვა საოპერაციო ხარჯები**

სხვა საოპერაციო ხარჯები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
მოთხოვნების გაუფასურება	(173)	(321)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(119)	(123)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(50)	(33)
სარეკლამო ხარჯი	(38)	(11)
ჯარიმები	(37)	(27)
პოლისების მოზიდვის ხარჯი	(34)	(33)
კომუნიკაცია	(30)	(33)
ბანკის საკომისიო	(13)	(13)
საწევრო გადასახადი	(12)	(10)
საკომისიო ხარჯი	(11)	(9)
მივლინება	(11)	(2)
დაზღვევა	(10)	(10)
სხვა	(54)	(52)
<b>სულ</b>	<b>(592)</b>	<b>(677)</b>

**8. საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან	538	350
შვილობილი კომპანიის გასვლიდან წარმოქმნილი მოთხოვნის ამირტიზაცია	551	-
<b>Total</b>	<b>1,089</b>	<b>350</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 9. მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან

მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016
მიღებული საზღაურის რეალური ღირებულება	13,642
შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის თვითღირებულება	(8,368)
<b>მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან</b>	<b>5,274</b>

კომპანიამ 2016 წლის სექტემბერში გაყიდა ინვესტიციები შვილობილ კომპანია შპს მედალფაში. კომპანიამ ინვესტიცია მიყიდა დედა კომპანიას შპს ფარმას. გაყიდვის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 15,540 ათასი ლარს, რომლის გადახდა გადავადებული არის 2017 წლის 31 დეკემბრამდე. მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების დასათვლელად კომპანიამ გამოიყენა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება დეპოზიტების საშუალო განაკვეთით, რომელიც შეადგენს 10%,

#### 10. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა დაგროვილი საგადასახადო ზარალი. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით არსებობს განუსაზღვრელობა აღნიშნული საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გამოყენებასთან დაკავშირებით, ამიტომ მენეჯმენტმა არ აღიარა მოცემულ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი. 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აღიარებული საგადასახადო აქტივი იყო 1,271 ათასი და 2,740 ათასი ლარი, შესაბამისად.

#### 11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	4,464	6,769
ფული სალაროში	8	11
შეზღუდული ფული	99	96
<b>სულ</b>	<b>4,571</b>	<b>6,876</b>

\*შეზღუდული ფული მოიცავს ტენდერის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა უცხოური ვალუტების მიხედვით მოცემულია 22-ე შენიშვნაში. ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ დამატებითი შეზღუდვები იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

#### 12. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
ძირი	1,000	50
პროცენტი	9	9
<b>სულ</b>	<b>1,009</b>	<b>59</b>

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადით გახსნილ დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში. დეპოზიტები განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში.

კომპანიას მოთხოვნება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებულ ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან**

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (ჯანმრთელობა)	3,453	2,428
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (არაჯანმრთელობა)	521	390
მოთხოვნები გადაზღვევიდან	-	72
	<b>3,974</b>	<b>2,890</b>
მინუს: პოლისის მფლობელებთან არსებული მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(71)	(74)
<b>სულ</b>	<b>3,903</b>	<b>2,816</b>

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალური ღირებულებას.

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების ვადაგადაცილება 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
მიმდინარე	3,207	2,458
<b>ვადაცილებული და გაუფასურების გარეშე</b>		
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	90	61
31-60 დღის ვადაგადაცილება	178	51
61-90 დღის ვადაგადაცილება	94	32
91-120 დღის ვადაგადაცილება	92	4
121-240 დღის ვადაგადაცილება	101	15
241-360 დღის ვადაგადაცილება	-	8
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	3
<b>სულ</b>	<b>555</b>	<b>174</b>

**ვადაცილებული და გაუფასურებული**

30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	143	201
31-60 დღის ვადაგადაცილება	12	10
61-90 დღის ვადაგადაცილება	6	7
91-120 დღის ვადაგადაცილება	3	4
121-240 დღის ვადაგადაცილება	48	8
241-360 დღის ვადაგადაცილება	-	4
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	26
<b>სულ</b>	<b>212</b>	<b>260</b>
გაუფასურების რეზერვი	(71)	(74)
<b>წმინდა მოთხოვნები</b>	<b>3,903</b>	<b>2,818</b>

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე მოთხოვნები უკავშირდება დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებს.

კომპანია სრულად აუფასურებს 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნებს, რადგან წარსული გამოცდილებით აღნიშნული მოთხოვნები არ არის ანაზღაურებადი. 1-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნებისთვის გაუფასურების მოცულობა გაიანგარიშება წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გადაიხედება რეგულარულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით.

მენეჯმენტს სჯერა, რომ შექმნილი რეზერვები სავარაირა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ასახვისთვის. გაუფასურების ხარჯი წარდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯების“ მუხლში.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზრვევიდან (გაგრძელება)**

დაზღვევიდან, გადაზღვევიდან და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
<b>1 იანვარი (შენიშვნა 13;14)</b>	<b>(157)</b>	<b>(61)</b>
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(173)	(321)
ჩამოწერა	58	226
<b>31 დეკემბერი (შენიშვნა 13;14)</b>	<b>(272)</b>	<b>(156)</b>

**14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
<b>ფინანსური აქტივები</b>		
მოთხოვნები შვილობილის გაყიდვიდან (შენიშვნა 9)	12,003	-
მოთხოვნები რეგრესებიდან	173	148
რეგრესული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(153)	(82)
<b>სულ ფინანსური მოთხოვნები</b>	<b>12,023</b>	<b>66</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>		
გადახდილი ავანსები	125	152
სხვა მოთხოვნები	44	11
არაფინანსური მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(48)	-
<b>სულ არაფინანსური მოთხოვნები</b>	<b>121</b>	<b>163</b>
<b>სულ</b>	<b>12,144</b>	<b>229</b>

**15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<b>სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები</b>	2016	2015
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	3,347	2,474
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	2,554	5,817
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	164	207
<b>სულ</b>	<b>6,065</b>	<b>8,498</b>

<b>გადაზღვევის აქტივები</b>	2016	2015
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	286	235
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	37	85
გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	28	20
<b>სულ</b>	<b>351</b>	<b>340</b>

<b>გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>	2016	2015
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	3,061	2,239
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	2,517	5,732
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	136	187
<b>სულ</b>	<b>5,714</b>	<b>8,158</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გაგრძელება)**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

**ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**

გამომუშავებელი პრემიის რეზერვი ბრუტო	2016	2015
ნაშთი 1 იანვრისთვის	2,474	3,861
მოზიდული პრემია	6,376	8,830
მოზიდული პრემიის გაუქმება	(161)	(775)
ბრუტო გამომუშავებული პრემია	(5,342)	(9,442)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>3,347</b>	<b>2,474</b>

გადამზღვევლის წილი გამომუშავებელი პრემიის რეზერვში	2016	2015
ნაშთი 1 იანვრისთვის	235	85
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	561	708
მოზიდული პრემიის გაუქმებაში გადამზღვევლის წილი	(3)	-
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(507)	(558)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>286</b>	<b>235</b>

გამომუშავებელი პრემიის რეზერვი, ნეტო	2016	2015
ნაშთი 1 იანვრისთვის	2,239	3,776
მოზიდული პრემია, ნეტო	5,815	8,122
ნეტო მოზიდული პრემიის გაუქმება	(158)	(775)
ნეტო გამომუშავებული პრემია	(4,835)	(8,884)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>3,061</b>	<b>2,239</b>

**ბ) ზარალების რეზერვი**

ზარალების რეზერვი, ბრუტო	2016	2015
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	6,024	7,241
წინა და მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(7,919)	(9,946)
მიმდინარე წლის ზარალები და ცვლილება წინა წლის ზარალებში	4,613	8,729
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>2,718</b>	<b>6,024</b>

ზარალების რეზერვში, გადამზღვევლის წილი	2016	2015
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	105	25
წინა და მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(335)	(371)
მიმდინარე წლის ზარალები და ცვლილება წინა წლის ზარალებში	295	451
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>65</b>	<b>105</b>

ზარალების რეზერვი, ნეტო	2016	2015
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	5,919	7,216
წინა და მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(7,584)	(9,575)
მიმდინარე წლის ზარალები და ცვლილება წინა წლის ზარალებში	4,318	8,278
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>2,653</b>	<b>5,919</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**15. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გაგრძელება)**

სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, კარგოს დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად 12-თვიანია. სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხის დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში არ ხდება.

**16. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>564</b>	<b>275</b>	<b>127</b>	<b>11</b>	<b>977</b>
შემოსვლა	8	8	29	-	45
გასვლა	-	(17)	(11)	-	(28)
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>572</b>	<b>266</b>	<b>145</b>	<b>11</b>	<b>994</b>
შემოსვლა	-	4	2	-	6
გასვლა	-	(6)	(9)	-	(15)
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>572</b>	<b>264</b>	<b>138</b>	<b>11</b>	<b>985</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>					
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(54)</b>	<b>(227)</b>	<b>(96)</b>	<b>-</b>	<b>(377)</b>
მიმდინარე წლის ცვეთა	(12)	(34)	(24)	(1)	(71)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	14	10	-	24
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(66)</b>	<b>(247)</b>	<b>(110)</b>	<b>(1)</b>	<b>(424)</b>
მიმდინარე წლის ცვეთა	(14)	(9)	(16)	(1)	(40)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	6	9	-	15
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(80)</b>	<b>(250)</b>	<b>(117)</b>	<b>(2)</b>	<b>(449)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>					
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>510</b>	<b>48</b>	<b>31</b>	<b>11</b>	<b>600</b>
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>506</b>	<b>19</b>	<b>35</b>	<b>10</b>	<b>570</b>
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>492</b>	<b>14</b>	<b>21</b>	<b>9</b>	<b>536</b>

პროვადერ კლინიკასთან არსებულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფის სახით სს "სადაზღვევო კომპანია ალფა" აკრძალული აქვს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**17. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული პროგრამები
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>345</b>
შემოსვლა	230
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>575</b>
შემოსვლა	4
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>579</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(102)</b>
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(99)
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(201)</b>
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(93)
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(294)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>243</b>
<b>2015 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>374</b>
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>285</b>

კომპიუტერული პროგრამები მოიცავს სადაზღვევო და საბუღალტრო პროგრამას.

**18. სააქციო კაპიტალი**

2016 წელს კომპანიის დამფუძნებელმა გაზარდა სადაზღვევო კომპანიის კაპიტალი 3,995,800 ლარით. 2016 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მიერ გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 1.05 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე აქციების რაოდენობა იყო 34,396,000.

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მიერ გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე აქციების რაოდენობა იყო 32,120,000 და გამოშვებული და არაანაზღაურებული აქციების რაოდენობა 180,000.

მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

**19. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები**

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
ვალდებულება გადამზღვეველების წინაშე	75	26
გადასახდელი საკომისიო	39	14
<b>სულ</b>	<b>114</b>	<b>40</b>

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
სავაჭრო ვალდებულებები	819	2,459
გადასახდელი ხელფასები	102	129
სხვა ვალდებულებები	-	84
<b>სულ</b>	<b>921</b>	<b>2,672</b>

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

### 21. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2016	2015
სესხის ძირი	-	2,000
დარიცხული პროცენტი	-	1
<b>სულ</b>	<b>-</b>	<b>2,001</b>

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

### 22. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

#### 22.1. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებაში კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 22. რისკების მართვა (გაგრძელება)

#### კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. კომპანიის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს კომპანიის კაპიტალის პოზიციასზე.

#### 22.2 სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

კომპანია რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

კომპანია იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2016	2015
ზარალის კოეფიციენტი	84%	89%

კომპანიის მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სიცოცხლის, ქონების, მესამე პირის პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, კარგოს და სამედიცინო დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი - ძირითადად ქონების დაზღვევისთვის, სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული განხილვა წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით.

#### განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ რისკს, და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს.



**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**22. რისკების მართვა (გაგრძელება)**

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია გააჩნია.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

**22.3. ფინანსური რისკების მართვა**

კომპანია, თავისი საქმიანობაში დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

**ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

	2016	2015
გადაზღვევის აქტივები	65	105
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	3,903	2,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,023	66
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,009	59
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,571	6,876
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>21,571</b>	<b>9,922</b>

	2016	2015
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,718	6,024
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	114	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	921	2,588
მიღებული სესხები	-	2,001
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>921</b>	<b>4,589</b>

**ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.



**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**22. რისკების მართვა (გაგრძელება)**

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმძღვანელის საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების და დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად.

კომპანია დებიტორული და სხვა დავალიანებებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ანარიცხების მცირე ნაწილი წარმოდგენილია სპეციფიკური რეზერვის სახით, რომელიც იანგარიშება თითოეული მნიშვნელოვანი კონტრაგენტის ანალიზის შედეგად. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 22. რისკების მართვა (გაგრძელება)

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის:

ერთ წელზე ნაკლები	2016	2015
<b>პროცენტის არმიქონე ფინანსური ვალდებულებები</b>		
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,718	6,024
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	114	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	921	2,588
<b>პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები</b>		
მიღებული სესხები	-	2,001
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>921</b>	<b>4,589</b>

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

#### საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2016	2015
<b>ფინანსური აქტივები</b>		
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	143	72
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	49
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>155</b>	<b>121</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	75	26
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>75</b>	<b>26</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>80</b>	<b>95</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**22. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**სავალუტო რისკის მგრძობელობა**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარის, ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	16	(16)	19	(19)
გავლენა კაპიტალზე	13	(13)	16	(16)

**23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები მოიცავს შვილობილ კომპანიას, მფლობელებს და საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016		
	დამფუძნებელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	სულ
<b>ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან</b>			
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	92	464	556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	66	66
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	92	529	621
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	426	926	1,352
მიღებული სესხები	786	-	786
<b>ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია	134	5	139
გადახდილი სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ვალდებულებებში	(984)	(3,143)	(4,127)
საიჯარო ქირა	(81)	(6)	(87)
საპროცენტო შემოსავალი	551	-	551
საპროცენტო ხარჯი	-	(9)	(9)
მოგება შვილობილი კომპანიის გასვლიდან	5,274	-	5,274



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს  
(ათას ლარში)

**23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015		სულ
	დამფუძნებელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	
<b>ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან</b>			
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	32	140	172
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	15	3,447	3,462
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,361	61	2,422
მიღებული სესხები	1,101	900	2,001
<b>ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია	119	18	137
გადახდილი სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ვალდებულებებში	(200)	(3,681)	(3,881)
საიჯარო ქირა	(69)	(6)	(75)
საპროცენტო ხარჯი	-	(24)	(24)

უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
<b>უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:</b>	<b>(148)</b>	<b>(175)</b>
შრომის ანაზღაურება	(148)	(175)



**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**24. პირობითი და აღურიცხავი ვალდებულებები**

**პირობითი ვალდებულებები** - 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სამი სასამართლო დავა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

პირველი დავა უკავშირდება ჯანმრთელობის პოლისით დაზღვეულებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას. დავის თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 625,498 ლარს, რომელიც შედგება ძირისგან და მასზე დარიცხული სარგებლისგან. აღნიშნული თანხიდან 295,000 ლარი შესულია განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების თანხაში. დანარჩენ თანხაზე ანარიცხები არ არის შექმნილი.

მეორე და მესამე დავა უკავშირდება ავტო ზარალების ანაზღაურებას. დავის თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 29,325. აღნიშნულ თანხას შეიძლება დამატოს პირგასამტეხლო.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სასამართლო დავის მოგება უფრო მეტად არის მოსალოდნელი ვიდრე წაგება, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის დამატებითი ანარიცხები შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**საზედამხედველო მოთხოვნები** - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულია მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი პირი საქმიანობის ყველა ეტაპზე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა კომპანიისთვის შეადგენს 2,200 ათას ლარს. ამასთან, კომპანიას მზღვეველის საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე თანხა მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით (2,200 ათასი ლარი).

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, კომპანიას უნდა გააჩნდეს აქტივები სადაზღვევო რეზერვების დასაფარად. აღნიშნული აქტივების შესაძლო სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ამავე მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიას სადაზღვევო რეზერვების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გააჩნდეს ფული და ფულის ეკვივალენტები საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე არანაკლებ რეზერვის თანხის 10%. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ძირითადად იყენებდა ფულის და ფულის ეკვივალენტებს და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.

**მომავალი საიჯარო გადასახდელები**

კომპანიას აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები რომლის დასრულების თარიღიც წინასწარ არის განსაზღვრული. კომპანიის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები ვადიანი უწყვეტი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში 2016 და 2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2016	2015
ერთი წლის განმავლობაში	94	86
ერთიდან ხუთ წლამდე	196	280
<b>სულ</b>	<b>290</b>	<b>366</b>

**25. ბალანსის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გამყარდა ქართული ლარი აშშ დოლართან და ლართან მიმართებაში. 2017 წლის 17 აპრილისთვის 1 ქართული ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში შეადგენდა 2.3896 ხოლო ევროსთან მიმართებაში 2.5418.